კონსოლიდირებული ჰოლდინგი ნიკორა
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი	2019 წლის 30 ივნისი (არააუდირებული)	2018 წლის 30 ივნისი (არააუდირებული, გადაანგარიშებული)	2018 წლის 31 დეკემბერი (აუდირებული)	2017 წლის 31 დეკემბერი (აუდირებული, გადაანგარიშებული)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
გუდვილი	43,618	43,618	43,618	43,618
ძირითადი საშუალებები	113,038	97,025	108,803	75,467
იჯარით სარგებლობის უფლების აქტივი	71,117	-	-	-
არამატერიალური აქტივები	2,689	2,771	2,909	2,930
მსხმოიარე ნარგავები	399	463	396	466
სხვა ფინანსური აქტივები	17	15	14	20
გაცემული სესხები	144	-	144	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	**231,022**	**143,892**	**155,884**	**122,501**
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	56,577	45,733	57,876	45,051
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	24,717	11,733	23,273	14,256
სხვა მიმდინარე აქტივები	1,452	727	1,495	1,586
მიმდინარე საგადასახადო აქტივი	104	-	182	-
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	6,140	3,047	3,175	10,734
სულ მიმდინარე აქტივები	**88,990**	**61,240**	**86,001**	**71,627**
სულ აქტივები	**320,012**	**205,132**	**241,885**	**194,128**
პასივები				
კაპიტალი და რეზერვები				
სააქციო კაპიტალი	24,444	27,930	25,126	31,258
გამოსყიდული აქციები	(1,326)	(1,326)	(1,326)	(1,294)
გადაფასების რეზერვი	12,240	12,240	12,240	12,240
აკუმულირებული მოგება/ზარალი	25,998	16,824	24,079	13,982
სულ მშობელი კომპანიის მფლობელთა კაპიტალი	**61,356**	**55,668**	**60,119**	**56,186**
არამაკონტროლებელი წილი - სააქციო კაპიტალი	5,061	2,591	3,557	2,253
არამაკონტროლებელი წილი - გადაფასების რეზერვი	462	462	462	462
არამაკონტროლებელი წილი - აკუმულირებული მოგება/ზარალი	43	(232)	34	(310)
სულ არამაკონტროლებელი წილი	**5,566**	**2,821**	**4,053**	**2,405**
სულ კაპიტალი	**66,922**	**58,489**	**64,172**	**58,591**
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	15,881	15,124	20,434	14,126
ობლიგაციები	25,000	25,660	25,000	25,660
საიჯარო ვალდებულებები	77,907	-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**118,788**	**40,784**	**45,434**	**39,786**
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	85,705	62,335	83,112	56,072
სესხები	48,126	30,174	22,209	25,800
გადასახდელი დივიდენდები	209	-	-	539
ობლიგაციები	-	13,137	26,696	13,137
ობლიგაციებზე გადასახდელი სარგებელი	161	137	161	137
სახელშეკრულებო ვალდებულება	101	76	101	66
სულ მიმდინარე ვალდებულებები	**134,302**	**105,859**	**132,279**	**95,751**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**320,012**	**205,132**	**241,885**	**194,128**

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე — ვასილ სუხიაშვილი

გენერალური დირექტორი — ირაკლი ბოქოლიშვილი

კონსოლიდირებული ჰოლდინგი ნიკორა
სრული შემოსავლების ანგარიშგება

ათასი ლარი	01.01.2019-30.06.2019 (არააუდირებული)	01.01.2018-30.06.2018 (არააუდირებული)	2018 წელი (აუდირებული)	2017 წელი (აუდირებული)
სულ შემოსავალი	242,256	181,080	417,852	336,255
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(168,927)	(125,819)	(289,528)	(231,891)
საერთო მოგება	**73,329**	**55,261**	**128,324**	**104,364**
სხვა შემოსავალი	517	484	986	1,085
დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები, გრძელვადიანი ოჯარის ხარჯისა და ოჯარით სარგებლობის აქტივის ცვეთის ხარჯის გარეშე	(24,473)	(18,114)	(59,147)	(50,363)
გრძელვადიანი ოჯარის ხარჯი	-	(8,645)	-	-
ოჯარით სარგებლობის უფლების აქტივის ცვეთის ხარჯი	(8,248)	-	-	-
ადმინისტრაციული ხარჯები	(28,533)	(20,938)	(45,084)	(32,411)
სხვა ხარჯები	(1,016)	(780)	(1,760)	(2,901)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან	**11,576**	**7,268**	**23,319**	**19,774**
ფინანსური ხარჯი - საპროცენტო ხარჯი სესხებზე/ობლიგაციებზე	(4,627)	(3,874)	(8,525)	(7,860)
ფინანსური ხარჯი - საოჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი	(3,822)	-	-	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(2,312)	(1,678)	(3,357)	(3,920)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობის მოგება/(ზარალისა) და დაბეგვრამდე	**815**	**1,716**	**11,437**	**7,994**
საკურსო სხვაობის მოგება/(ზარალი) - გარდა ფასს 16-ის ეფექტისა	(3,422)	2,443	(2,883)	(1,926)
საკურსო სხვაობის მოგება/(ზარალი) - ფასს 16-ის ეფექტი	(5,252)			
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	**(7,859)**	**4,159**	**8,554**	**6,068**
მოგების გადასახადი	(1,323)	(748)	(1,568)	(1,140)
პერიოდის წმინდა მოგება	**(9,182)**	**3,411**	**6,986**	**4,928**
სხვა სრული შემოსავალი				
ერთეულები რომელიც მომავალში არ გადაკლასიფიცირდება მოგებაზ ზარალში				
ძირითადი საშუალებების გადაფასება	-	-	-	4,704
პერიოდის სხვა სრული შემოსავალი მოგების გადასახადის გარეშე	-	-	-	**4,704**
სულ პერიოდის სრული შემოსავალი	**(9,182)**	**3,411**	**6,986**	**9,632**
მოგება მიკუთვნებადი:				
სათაო კომპანიის მფლობელებზე მიკუთვნებადი	(6,826)	3,017	6,684	4,969
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე მიკუთვნებადი	(2,356)	394	302	(41)
მთლიანი შემოსავალი მიკუთვნებადი:				
სათაო კომპანიის მფლობელებზე მიკუთვნებადი	(6,826)	3,017	6,684	9,657
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე მიკუთვნებადი	(2,356)	394	302	(25)

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე — ვასილ სუხიაშვილი

გენერალური დირექტორი — ირაკლი ბოქოლიშვილი

კონსოლიდირებული ჰოლდინგი ნიკორა
ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ათასი ლარი	01.01.2019-30.06.2019 (არააუდირებული)	01.01.2018-30.06.2018 (არააუდირებული)	2018 წელი (აუდირებული)	2017 წელი (აუდირებული)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან				
პერიოდის მოგება/ზარალი	(9,182)	3,411	6,986	4,928
კორექტირებები:				
ცვეთა და ამორტიზაცია	16,562	5,590	10,818	7,997
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგებ	-	-	-	-
უიმედო მოთხოვნების ხარჯი	-	-	-	23
საპროცენტო ხარჯი	8,449	3,874	8,526	7,860
მარაგების დანაკარგები	-	-	7,984	3,449
სახელშეკრულებო ვალდებულების ცვლილება	-	-	35	(19)
მოგების გადასახადი ხარჯი	1,323	748	1,568	1,140
მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	8,674	(2,443)	2,883	1,926
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	-	-	7	(4)
საოპერაციო შედეგი საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	25,826	11,180	38,807	27,300
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(1,444)	86	(9,016)	(3,114)
ცვლილება სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	1,298	727	(20,809)	(16,546)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	3,232	10,002	23,091	12,049
ცვლილება სხვა მიმდინარე აქტივებში	121	430	(13)	284
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	29,033	22,425	32,060	19,973
გადახდილი პროცენტი	(8,610)	(4,246)	(8,165)	(7,771)
გადახდილი მოგების გადასახადი	(1,961)	(515)	(1,750)	(1,400)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	18,462	17,664	22,145	10,802
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან				
ძირითადი საშუალებების შეძენა	(12,275)	(26,750)	(40,308)	(11,490)
ბიოლოგიური აქტივების შეძენა	-	-	-	-
არამატერიალური აქტივების შეძენა	(60)	(229)	(883)	(763)
შვილობილი საწარმოს წილის შეძენა	-	-	-	(23)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	-	1,293	1,819
შვილობილის შეძენაზე გადახდილი ფული		-	(635)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(12,335)	(26,979)	(40,533)	(10,457)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან				
სესხებიდან მიღებული ფულადი სახსრები	21,525	3,237	230,384	181,844
სესხებზე გადახდილი ფულადი სახსრები	-	-	(229,119)	(198,335)
ობლიგაციებიდან მიღებული ფულადი სახსრები	-	-	25,000	23,775
ობლიგაციების დასფარად გადახდილი ფული	(26,696)	-	(12,540)	-
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(6,710)	-	-	-
აქციების გამოშვებიდან მიღებული ფული	-	-	-	-
პრივილეგირებული აქციების გამოსყიდვა	(682)	(3,329)	(6,678)	(5,177)
გამოსყიდული აქციები	-	-	(32)	-
შვილობილი საწარმოს წილის გაყიდვიდან მიღებული ფულ	15,718	2,616	10,349	13,025
გადახდილი დივიდენდები	(2,895)	(3,339)	(5,748)	(7,760)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	260	(815)	11,616	7,372
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე წმინდა ზრდა	6,387	(10,130)	(6,772)	7,717
უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე	(3,422)	2,443	(787)	2,978
ფულადი სახსრები ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდ	3,175	10,734	10,734	39
ფულადი სახსრები ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდ	6,140	3,047	3,175	10,734

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე — ვასილ სუხიაშვილი

გენერალური დირექტორი — ირაკლი ბოქოლიშვილი

კონსოლიდირებული ჰოლდინგი ნიკორა
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ათასი ლარი	სააქციო კაპიტალი	გამოსყიდული ჩვეულებრივი აქციები	გადაფასების რეზერვი	აკუმულირებული მოგება-ზარალი	სულ სათაო კომპანიის მფლობელებზე მიკუთვნებადი	არამაკონტროლებელი წილი	სულ
2017 წლის 1 იანვარი (აუდირებული, გადაანგარიშებული)	34,761	(1,294)	7,562	5,810	46,839	995	47,834
წლის მოგება-ზარალი	-	-	-	4,969	4,969	(41)	4,928
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	4,688	-	4,688	16	4,704
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	4,688	4,969	9,657	(25)	9,632
შეილობილ საწარმოში წილის ნაწილის გაყიდვა	-	-	-	11,470	11,470	1,457	12,927
პრივილეგირებული აქციების გამოსყიდვა	(3,503)	-	-	-	(3,503)	-	(3,503)
გაყიდული აქტივების აკუმულირებული გადაფასების რეზერვის გადატანა დაგროვილ მოგებაზე	-	-	(27)	27	-	-	-
დივიდენდები	-	-		(8,299)	(8,299)	-	(8,299)
საწარმოთა გაერთიანება	-	-	17	5	22	(22)	-
ტრანზაქციები მფლობელებთან	(3,503)	-	(10)	3,203	(310)	1,435	1,125
2017 წლის 31 დეკემბერი (აუდირებული, გადაანგარიშებული)	31,258	(1,294)	12,240	13,982	56,186	2,405	58,591
პერიოდის მოგება-ზარალი	-	-	-	3,017	3,017	394	3,411
პერიოდის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-	-	-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	-	3,017	3,017	394	3,411
საკუთარი აქციების გამოსყიდვა	-	(32)	-	-	(32)	-	(32)
შვილობილ საწარმოში წილის ნაწილის გაყიდვა	-	-	-	2,626	2,626	22	2,648
პრივილეგირებული აქციების გამოსყიდვა	(3,328)	-	-	-	(3,328)	-	(3,328)
დივიდენდები	-	-	-	(2,801)	(2,801)	-	(2,801)
საწარმოთა გაერთიანება	-	-	-	-	-	-	-
ტრანზაქციები მფლობელებთან	(3,328)	(32)	-	(175)	(3,535)	22	(3,513)
2018 წლის 30 ივნისი (არააუდირებული)	27,930	(1,326)	12,240	16,824	55,668	2,821	58,489
2018 წლის 1 იანვარი (აუდირებული, გადაანგარიშებული)	31,258	(1,294)	12,240	13,982	56,186	2,405	58,591
პერიოდის მოგება-ზარალი	-	-	-	6,684	6,684	302	6,986
პერიოდის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-	-	-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	-	6,684	6,684	302	6,986
საკუთარი აქციების გამოსყიდვა	-	(32)	-	(889)	(921)	-	(921)
შვილობილ საწარმოში წილის ნაწილის გაყიდვა	-	-	-	8,496	8,496	1,304	9,800
პრივილეგირებული აქციების გამოსყიდვა	(6,132)	-	-		(6,132)		(6,132)
პრემიუმი შვილობილის აქციების გამოშვებიდან	-	-	-	869	869	591	1,460
დივიდენდები	-	-	-	(5,909)	(5,909)	-	(5,909)
სს ნიკორას მიერ სს ნიკორა ტრეიდის აქციების მესამე მხარისთვის მიყიდვის ეფექტი	-	-	-	549	549	(549)	-
საწარმოთა გაერთიანება	-	-	-	297	297	-	297
ტრანზაქციები მფლობელებთან	(6,132)	(32)	-	3,413	(2,751)	1,346	(1,405)
2018 წლის 31 დეკემბერი (აუდირებული)	25,126	(1,326)	12,240	24,079	60,119	4,053	64,172
პერიოდის მოგება-ზარალი	-	-	-	(6,826)	(6,826)	(2,356)	(9,182)
პერიოდის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-	-	-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	-	(6,826)	(6,826)	(2,356)	(9,182)
შვილობილ საწარმოში წილის ნაწილის გაყიდვა	-	-	-	11,849	11,849	3,869	15,718
პრივილეგირებული აქციების გამოსყიდვა	(682)				(682)	-	(682)
დივიდენდები	-	-	-	(3,104)	(3,104)	-	(3,104)
ტრანზაქციები მფლობელებთან	(682)	-	-	8,745	8,063	3,869	11,932
2019 წლის 30 ივნისი (არააუდირებული)	24,444	(1,326)	12,240	25,998	61,356	5,566	66,922

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე — ვასილ სუხიაშვილი

გენერალური დირექტორი — ირაკლი ბოქოლიშვილი

სს "ნიკორასა" და შვილობილი კომპანიების ჯგუფის 2019 წლის პირველი 6 თვის კონსოლიდირებული ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საშუალებები

პროდუქციის წარმოების, მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის გამოყენებული მიწა და შენობები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია გადაფასებული ღირებულებით, რაც შემცირებულია ბოლო გადაფასების შემდეგ დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების ზარალის (თუკი გაუფასურებას ქონდა ადგილი) ღირებულებით. ძირითადი საშუალების გადაფასების დროს, გადაფასების დღისათვის დაგროვილი ცვეთა აკლდება მთლიან საბალანსო ღირებულებას და ნეტო თანხა გადაანგარიშდება აქტივის გადაფასებული თანხით. გადაფასებები დამოუკიდებელ შემფასებელთა მიერ ტარდება საკმარისი სიხშირით, იმ მიზნით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისაგან რაც მას ექნებოდა პერიოდის ბოლოს, რომ მომხდარიყო მისი რეალური ღირებულების შეფასება.

ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი ჩაირთვება სხვა სრულ შემოსავლებში (გარდა იმ შემთხვევისა როდესაც იმავე აქტივთან დაკავშირებული გადაფასების რეზერვის შემცირება წინა პერიოდში უკვე აღიარებული იყო მოგება-ზარალში, ასეთ შემთხვევაში გადაფასების რეზერვის ზრდა მოგება-ზარალზე აღირიცხება წინა პერიოდში შემცირებული თანხის მოცულობით), ხოლო გადაფასების რეზერვი კაპიტალში. საბალანსო ღირებულების შემცირება, რომელიც გამოწვეულია გადაფასებით აღირიცხება მოგება-ზარალში, რადგან საბალანსო ღირებულება აღემატება ძირითადი საშუალების რეალურ ღირებულებას, ხოლო თუ არსებობს წინა პერიოდში ძირითადი საშუალების გადაფასებით წარმოქმნილი რეზერვი ხდება მისი შემცირება.

გადაფასების რეზერვის გადატანა ხდება გაუნაწილებელ მოგებაზე თუ მოხდა მასთან დაკავშირებული ძირითადი საშუალების გაყიდვა ან სხვა ფორმით მისი აღიარების შეწყვეტა.

სხვა ძირითადი საშუალებები, გარდა მიწისა და შენობებისა, აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამიზნულია წარმოებისთვის, გასაქირავებლად ან მიზნებისთვის, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული, აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობრში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, ასევე

პროფესიონალური მომსახურებისა და სესხებთან დაკავშირებულ ხარჯებს რომელიც კაპიტალიზირდება ჯგუფის პოლიტიკის შესაბამისად.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას შემცირებადი ნაშთის მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

შენობა ნაგებობები	-	30 წელი
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	-	5 წელი
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	-	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	-	5 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	-	7-10 წელი

2. შვილობილი კომპანიები

2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

შვილობილი	წილი %	ქვეყანა	დაარსების თარიღი	საქმიანობის სფერო	შესყიდვის თარიღი
სს ნიკორა ტრეიდი	80.01	საქართველო	14 აგვისტო, 2006 წელი	საცალო გაყიდვა	22 დეკემბერი, 2009 წელი
შპს ნუგეში	100	საქართველო	18 ივნისი 2010, წელი	საცალო გაყიდვა	1 ივლისი, 2015 წელი
შპს ვაკიჯვრის კალმახი	82.50	საქართველო	15 დეკემბერი, 1995 წელი	კალმახის ფერმა	13 ნოემბერი, 2006 წელი
შპს ოკეანე	100	საქართველო	5 ივნისი, 2008 წელი	თევზის წარმოება	5 ივნისი, 2008 წელი

შვილობილი	წილი %	ქვეყანა	დაარსების თარიღი	საქმიანობის სფერო	შესყიდვის თარიღი
შპს ინტრეიდი	100	საქართველო	19 სექტემბერი, 2007 წელი	დისტრიბუცია	19 სექტემბერი, 2007 წელი
შპს ინტრეიდი-ფოთი	100	საქართველო	3 ნოემბერი, 2004 წელი	დისტრიბუცია	3 ნოემბერი, 2004 წელი
შპს ნიკორა კახეთი	100	საქართველო	10 მარტი, 2006 წელი	დისტრიბუცია	10 მარტი, 2006 წელი
შპს პარტნიორი	100	საქართველო	2 დეკემბერი, 2014 წელი	დისტრიბუცია	2 დეკემბერი, 2014
შპს მულტიტრეიდი	100	საქართველო	29 ივნისი, 2009 წელი	იმპორტი	29 ივნისი, 2009 წელი
შპს ნიკორა	100	საქართველო	2 დეკემბერი, 2014 წელი	ხორცის და ნახევარფაბრიკატების წარმოება	2 დეკემბერი, 2014 წელი
შპს ნიკორა 7	100	საქართველო	15 მარტი, 2006 წელი	ხორცის წარმოება	15 მარტი, 2006 წელი
შპს ჩვენი ფერმერი	100	საქართველო	5 ივნისი, 2008 წელი	რძის პროდუქტების წარმოება	5 ივნისი, 2008 წელი
შპს მზარეული 1	100	საქართველო	5 ნოემბერი, 2004 წელი	პურპროდუქტების წარმოება	5 ნოემბერი, 2004 წელი
შპს კულინარი	50	საქართველო	5 ივლისი, 2015 წელი	ნახევარფაბრიკატების წარმოება	5 ივლისი, 2015 წელი
შპს ნაფარეულის ძველი მარანი	100	საქართველო	25 ივლისი, 2009 წელი	ღვინის წარმოება	25 ივლისი, 2009 წელი
შპს ლაზი	67	საქართველო	4 დეკემბერი, 2014 წელი	საცალო გაყიდვა	4 დეკემბერი, 2014 წელი
შპს აჩინებული 2005	100	საქართველო	4 თებერვალი, 2005 წელი	არააქტიური	4 თებერვალი, 2005 წელი
შპს ნიკორა აგრო	100	საქართველო	11 მარტი, 2009 წელი	სოფლის მეურნეობა	11 მარტი, 2009 წელი
შპს კასპი	50	საქართველო	9 მარტი, 2010 წელი	არააქტიური	9 მარტი, 2010 წელი
შპს ცუცხვათი	100	საქართველო	7 მაისი, 2004 წელი	არააქტიური	7 მაისი, 2004 წელი
შპს ნიკორა ბაკურიანი	50	საქართველო	18 დეკემბერი, 2015 წელი	მშენებლობა	18 დეკემბერი, 2015 წელი
შპს ვებ ტრეიდი	100	საქართველო	13 ივნისი, 2016 წელი	ინტერნეტ მაღაზია	13 ივნისი, 2016 წელი
კრწანისი 14	100	საქართველო	27 ივლისი, 2018 წელი	არააქტიური	10 აგვისტო, 2018 წელი

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

შვილობილი	წილი %	ქვეყანა	დაარსების თარიღი	საქმიანობის სფერო	შესყიდვის თარიღი
სს ნიკორა ტრეიდი	86.15	საქართველო	14 აგვისტო, 2006 წელი	საცალო გაყიდვა	22 დეკემბერი, 2009 წელი
შპს ნუგეში	100	საქართველო	18 ივნისი 2010, წელი	საცალო გაყიდვა	1 ივლისი, 2015 წელი
შპს ვაკიჯვრის კალმახი	82.50	საქართველო	15 დეკემბერი, 1995 წელი	კალმახის ფერმა	13 ნოემბერი, 2006 წელი
შპს ოკეანე	100	საქართველო	5 ივნისი, 2008 წელი	თევზის წარმოება	5 ივნისი, 2008 წელი
შპს ინტრეიდი	100	საქართველო	19 სექტემბერი, 2007 წელი	დისტრიბუცია	19 სექტემბერი, 2007 წელი
შპს ინტრეიდი-ფოთი	100	საქართველო	3 ნოემბერი, 2004 წელი	დისტრიბუცია	3 ნოემბერი, 2004 წელი
შპს ნიკორა კახეთი	100	საქართველო	10 მარტი, 2006 წელი	დისტრიბუცია	10 მარტი, 2006 წელი
შპს პარტნიორი	100	საქართველო	2 დეკემბერი, 2014 წელი	დისტრიბუცია	2 დეკემბერი, 2014
შპს მულტიტრეიდი	100	საქართველო	29 ივნისი, 2009 წელი	იმპორტი	29 ივნისი, 2009 წელი
შპს ნიკორა	100	საქართველო	2 დეკემბერი, 2014 წელი	ხორცის და ნახევარფაბრიკატების წარმოება	2 დეკემბერი, 2014 წელი
შპს ნიკორა 7	100	საქართველო	15 მარტი, 2006 წელი	ხორცის წარმოება	15 მარტი, 2006 წელი
შპს ჩვენი ფერმერი	100	საქართველო	5 ივნისი, 2008 წელი	რძის პროდუქტების წარმოება	5 ივნისი, 2008 წელი
შპს მზარეული 1	100	საქართველო	5 ნოემბერი, 2004 წელი	კერპროდუქტების წარმოება	5 ნოემბერი, 2004 წელი
შპს კულინარი	50	საქართველო	5 ივლისი, 2015 წელი	ნახევარფაბრიკატების წარმოება	5 ივლისი, 2015 წელი
შპს ნაფარეულის ძველი მარანი	100	საქართველო	25 ივლისი, 2009 წელი	ღვინის წარმოება	25 ივლისი, 2009 წელი
შპს ლაზი	67	საქართველო	4 დეკემბერი, 2014 წელი	საცალო გაყიდვა	4 დეკემბერი, 2014 წელი
შპს აჩინებული 2005	100	საქართველო	4 თებერვალი, 2005 წელი	არააქტიური	4 თებერვალი, 2005 წელი
შპს ნიკორა აგრო	100	საქართველო	11 მარტი, 2009 წელი	სოფლის მეურნეობა	11 მარტი, 2009 წელი
შპს კასპი	50	საქართველო	9 მარტი, 2010 წელი	არააქტიური	9 მარტი, 2010 წელი

შვილობილი	წილი %	ქვეყანა	დაარსების თარიღი	საქმიანობის სფერო	შესყიდვის თარიღი
შპს ცუცხვათი	100	საქართველო	7 მაისი, 2004 წელი	არააქტიური	7 მაისი, 2004 წელი
შპს ნიკორა ბაკურიანი	50	საქართველო	18 დეკემბერი, 2015 წელი	მშენებლობა	18 დეკემბერი, 2015 წელი
შპს ვებ ტრეიდი	100	საქართველო	13 ივნისი, 2016 წელი	ინტერნეტ მაღაზია	13 ივნისი, 2016 წელი
კრწანისი 14	100	საქართველო	27 ივლისი, 2018 წელი	არააქტიური	10 აგვისტო, 2018 წელი

3. კონსოლიდაციის საფუძვლები

შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები არის ის საწარმოები, რომლებიც კონტროლდება ჯგუფის მიერ. კონტროლი ხორციელდება, როდესაც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება, პირდაპირ ან ირიბად მართოს ორგანიზაციის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა ისე რომ, მიიღოს სარგებელი მისი საქმიანობიდან. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები შეტანილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტორლის დაწყების დღიდან კონტროლის შეწყვეტის დღემდე.

ჯგუფის მიერ შვილობილი კომპანიის შესყიდვის აღრიცხვისათვის გამოიყენება შესყიდვის მეთოდი. შესყიდული იდენტიფიცირებადი აქტივები, ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები, საწარმოთა გაერთიანებისას, თავდაპირველად აღირიცხება შესყიდვის დღისთვის მათი რეალური ღირებულებით, არამაკონტროლებელი წილის მოცულობის მიუხედავად.

ის ნამეტი ღირებულება, რომლითაც შეძენისას გადახდილი ღირებულება აღემატება შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივების, ვალდებულებების და პირობით ვალდებულებების რეალურ ღირებულებას, აღიარდება როგორც გუდვილი. თუ შესყიდვის ღირებულება ნაკლებია ჯგუფის წილზე, შეძენილი კომპანიის წმინდა აქტივების, ვალდებულებების და პირობით ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე, სხვაობის აღიარება ხდება პირდაპირ მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

ზარალი, რომელიც განაწილებულია არამაკონტროლებელ წილზე არ აღემატება არამაკონტროლებელ წილს შვილობილი კომპანიის კაპიტალში, თუ არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს არ აქვთ ზარალის გადაფარვასთან დაკავშირებული სხვა ვალდებულება. ყველა ასეთი ზარალი განაწილებულია ჯგუფზე.

კონსოლიდაციასთან დაკავშირებით ელიმინირებული ოპერაციები

შიდა ჯგუფური ბალანსები და ოპერაციები, და ნებისმიერი არარეალიზებული მოგება, რომელიც წარმოიქმნება შიდაჯგუფური ტრანზაქციებიდან ელიმინირებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. მეკავშირე საწარმოებთან ოპერაციებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული მოგებები ელიმინირებულია მეკავშირე საწარმოში ინვესტიციის საპირისპიროდ.

4. გუდვილი

გუდვილი აღირიცხება თვითღირებულებით გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

გუდვილის გაუფასურება

გუდვილი განაწილებულია იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე, რომლებიც მოსალოდნელია, რომ ისარგებლებენ საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი სინერგიით და წარმოადგენენ ჯგუფში ყველაზე დაბალ დონეს, რომელ დონეზეც მენეჯმენტი ახდენს გუდვილის მონიტორინგს. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები, რომლებზეც ხდება გუდვილის მიკუთვნება გაუფასურებაზე ტესტირდება წელიწადში ერთხელ მაინც. გაუფასურების ზარალი ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე თავდაპირველად ამცირებს იმ გუდვილის მიმდინარე ღირებულებას, რომლიც მიკუთვნებულია ასეთ ერთეულზე. დარჩენილი გაუფასურების ზარალი პროპორციულად ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში შემავალ სხვა აქტივებზე. გუდვილის გაუფასურების აღდგენა შემდგომ პერიოდებში არ ხდება.

გაუფასურების ტესტი

გუდვილის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრა გამოყენების ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს დეტალურ ხუთწლიან საპროგნოზო პერიოდს და ასევე ეყრდნობა მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ექსტრაპოლაციას დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით, რომელიც გაანგარიშებულია მენეჯმენტის მიერ დადგენილ ზრდის ტემპზე.

5. არამატერიალური აქტივები

ჯგუფის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივებისთვის ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შემცირებადი ნაშთის მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად,

რომელიც საშუალოდ შეადგენს 5-7 წელს, პროგრამული უზრუნველყოფისათვის, უფლებებისათვის და სხვა.

განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია არ ერიცხება, ნაცვლად ამისა, ყოველწლიურად მოწმდება გაუფასურებაზე მათი ანაზღაურებადი ღირებულების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და ყოველთვის როდესაც არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ არამატერიალური აქტივი შესაძლოა გაუფასურებული იყოს.

6. იჯარა

ბასს 17 იჯარის მიხედვით, იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარის ვადის დასაწყისში მოიჯარემ ფინანსური იჯარა უნდა უნდა აღიაროს როგორც აქტივები, საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით გაუთვალისწინებელი (თავდაპირველი) ხარჯების დამატებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. შესაბამისი თანხა აღიარებულ უნდა იქნეს ფინანსური იჯარის ვალდებულებად, იმის მიუხედავად რომ, ზოგიერთი საიჯარო გადასახდელები გადასახდელია იჯარის გაცემის დღიდან.

ფინანსური იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების შემდგომი აღრიცხვა, მაგალითად ცვეთის მეთოდი და სასარგებლო მომსახურების ვადა, შეესაბამება ჯგუფის მიერ იურიდიულად ფლობილ შესადარის აქტივებს. შესაბამისი ფინანსური იჯარის ვალდებულება მცირდება საიჯარო გადასახდლეებს გამოკლებული საპროცენტო დანახაარჯით, რომელიც აღირიცხება ფინანსურ ხარჯად. საიჯარო გადასახდელების საპროცენტო ელემენტი წარმოადგენს მუდმივ პროპორციას, საანგარიშგებო პერიოდის ვალდებულებების ნაშთის მიმართ და ხარჯად აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც იქნება გაწეული.

ყველა სხვა იჯარა აღიარებულია როგორც საოპერაციო იჯარა. გადახდები საოპერაციო იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად აღიარებულია ხარჯებში. მასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა შენახვის და სადაზღვევო ხარჯები, აღიარდება როგორც გაწეული ხარჯი.

7. სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორიცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასააყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება ფიფო მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით სამართლიან ღირებულებად.

სავაჭრო მოთხოვნების დაფარვის ვადა დაახლოებით 30-90 დღიანია. არ ერიცხება პროცენტი. ჯგუფს არ მიაჩნია სავაჭრო მოთხოვნებზე რეზერვის შექმნის საჭიროება, რადგან ისტორიულად არ დამდგარა დებიტორების გაუფასურების შედეგი.

9. ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს სალაროში და ბანკებში არსებულ ნაღდ ფულს. საბანკო ოვერდრაფტები არ შედის ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში და ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ცალკე მიმდინარე ვალდებულებების ნაწილში.

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოიქმნება როცა მოწინააღმდეგე მხარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს ასრულებს და ეს ვალდებულებები ეფექტური განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებითაა ასახული.

11. ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალადებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც ჯგუფი ხდება ფინანსური ინსტუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ რისკს და სარგებელს.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯებით გარდა იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის, ფინანსური აქტივები თავდაპირველი შეფასების შესაბამისად დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- სესხები და მოთხოვნები;
- რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით;
- სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივები;
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას სხვადასხვა კატეგორიებს მიეკუთვნება მათი მახასიათებლებისა და დანიშნულების შესაბამისად. ფინანსური ინსტრუმენტის დაყოფა კატეგორიებად შეესაბამება, იმას თუ, მისგან გამოწვეული შემოსავალი ან ხარჯი აისახება მოგება-ზარალში თუ სხვა სრულ შემოსავალში.

ზოგადად, ჯგუფი ყველა ფინანსურ აქტივს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით. აქტივის გაუფასურების შეფასება ხდება სულ მცირე ერთხელ საანგარიშგებო პერიოდში. ყველა შემოსავალი და ხარჯი, დაკავშირებული ფინანსურ აქტივთან აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შესაბამის პუნქტად "ფინანსური ხარჯი", "ფინანსური შემოსავალი" ან სხვა "ფინანსური ხარჯი", გარდა სავაჭრო მოთხოვნების საეჭვო ნაწილისა, რომელიც წარმოდგენილია სხვა არასაოპერაციო ხარჯების სახით.

i სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდელებით, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე და მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, აგრეთვე ფულს ხელზე და საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით. შემდგომში ისინი ასახულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული

ამორტიზირებული ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ ჯგუფი ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემები, მისი გაკოტრება ან მისი მხრიდან გადახდების პრაქტიკის მნიშვნელოვანი გაუარესება არის მნიშვნელოვანი ინდიკატორი იმისა, რომ მოთხოვნა გაუფასურებულია. გაუფასურების ოდენობა განისაზღვრება აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საეჭვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა ის მოთხოვნა, რომლის თანხის ამოღებაც მოსალოდნელი არ არის, პირდაპირ მოგება-ზარალში ჩამოიწერება ხარჯად.

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ჯგუფის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე, ფულს საბანკო ანგარიშზე, და ფულს გზაში.

ii ფინანსური აქტივები შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით

ფინანსური აქტივები შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, მოიცავს სავაჭროდ გამიზნულ ფინანსურ აქტივებს და აგრეთვე იმ ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფი აკლასიფიცირებს ამ კატეგორიაში. განმარტების თანახმად, ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ აკმაყოფილების ჰეჯირების აღრიცხვას, მიეკუთვნება ამ კატეგორიას.

ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც მიიღება წარმოებული ფინანსური აქტივებიდან, რომელიც აქტიურ ბაზარზე განისაზღვრება საბაზრო გარიგებების შედეგად, ეფუძნება რეალურ ღირებულებაში ცვლილებას, ხოლო არააქტიურ ბაზარზე, შეფასების მოდელის გამოყენებას.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

i სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებების პირველადი აღიარება ხდება სესხის გამოშვებასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. სხვაობა წარმოშობილი მის რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აისახება პერიოდის მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი მიღებულია აქციონერისგან. ამ შემთხვევაში სხვაობა წარმოშობილი რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აისახება კაპიტალში, როგორც

დამატებითი კაპიტალი. საწყისი აღიარების შემდეგ, სასესხო ვალდებულებები წარმოდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, ხოლო სხვაობა წარმოშობილი მის თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება პერიოდის მოგება-ზარალში. სესხთან დაკავშირებული პროცენტი და სხვა დანახარჯები აღიარდება ფინანსურ ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დანახარჯები პირდაპირ მიეკუთვნება განსაკუთრებული აქტივის შეძენას, შექმნას ან წარმოებას, ამ შემთხვევაში ეს დანახარჯები კაპიტალიზირდება განსაკუთრებული აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ii *საავჭრო და სხვა ვალდებულებები*

საავჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში ისინი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

12. კაპიტალი

სააქციო კაპიტალი წარმოადგენს გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებას.

საემისიო კაპიტალი წარმოადგენს აქციების გამოშვებისას აქციის ნიომინალურ ღირებულებაზე ზემოთ გაყიდვის შედეგად მიღებულ თანხებს. აქციების გამოშვებასთან დაკავშირებული ტრანზაქციის დანახარჯები აკლდება საემისიო კაპიტალს.

სააქციო კაპიტალი მოიცავს არაგამოსყიდვად პრივილეგირებულ აქციებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ აქციებისათვის გადასახდელი დივიდენდების ოდენობა განისაზღვრება ემიტენტის შეხედულებისამებრ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი აღირიცხება ვალდებულებად.

სახაზინო აქციები მოიცავს საკუთარ შეძენილ ჩვეულებრივ აქციებს.

გადაფასების რეზერვი მოიცავს მიწისა და შენობების გადაფასებიდან მიღებულ მოგებას/ზარალს.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

ყველა ტრანზაქცია რომელიც დაკავშირებულია ჯგუფის მფლობელებთან, როდესაც ისინი გვევლინებიან მფლობელების რანგში, აღირიცხება კაპიტალის ცალკე მუხლებში.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

13. მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში, კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 *მოგებიდან გადასახადებით* არ წარმოიქმნება 2017 წლის 01 იანვრიდან.

14. შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, მასში გათვალისწინებულია საგაჭრო ფასდათმობები და ჯგუფის მიერ დაშვებული სხვა შეღავათები.

შემოსავალი შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით, ფასდათმობებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- ჯგუფმა გადასცა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- ჯგუფს აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;

- როცა შესაძლოა, რომ კონტრაქტთან დაკავშირებული შემოსავალი შემოვა ჯგუფში; და
- ოპერაციასთან დაკავშირებული დარიცხული და დასარიცხი ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული.

მომსახურების გაწევა

შემოსავალი მომსახურებიდან აღიარდება, როცა

- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- როცა შესაძლოა, შესაძლოა, რომ კონტრაქტთან დაკავშირებული შემოსავალი შემოვა ჯგუფში;
- ანგარიშგების თარიღისთვის კონტრაქტის დასრულების სტადია საიმედოდ იქნეს შეფასებული; და
- ოპერაციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული.

საიჯარო შემოსავალი

საინვესტიციო ქონებიდან მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება წრფივი მეთოდით, საიჯარო ვადის შესაბამისად.

სს "ნიკორას" სამეთვალყურეო
საბჭოს თავმჯდომარე — ვასილ სუხიაშვილი

სს "ნიკორას" გენერალური
დირექტორი — ირაკლი ბოქოლიშვილი